# სასოფლო გაზეთი

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

გაზეთის ფასი:
გაგზავნით ტფილისში გაუგზავნელათ:
და გარეშე ადგილებში:

| | | |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 4 მან. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

ხელის-მოწერა მიიღება.
ტფილისის «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и $к^{0}$).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ). სტამბაში.

№ 21 შაბათი. | 11 | 7 ნოემბერი, 1870 წ.

შინაარსი:

შინაური მიმოხილვა.—მოსავლის ნაკლებობის მიზეზი.—სამეურნეო ნაწილი. ხორბლის გასარჩევი მანქანა.—ცხვრის ავათ-მყოფობა.—სხვა და-სხვა ამბავი.—როგორ უნდა ჩვევა ფუტკრები და სხვ.—ჭარხლის ტკბის ხდა.—ბალახის ნედლათ შენახვა ზამთარში და სხვ.

## შინაური მიმოხილვა

წარსული წლის გასულს ტფილისის გარემო სოფლებს მალიან ცუდი დრო დაუდგათ. რადგან წინა წლებში მოსავალი არა იყო რა, ამისთვის სოფლელებს ხორაგი მალიან მალე შემოაკლდათ და ნამდვილი შიმშილობა. ალაგ-ალაგ შიმშილისაგან კიდეც იხოცებოდნენ. რასაკვირველია, მაშინვე ყველგან, სადაც კი საზდოს ნაკლებობა იგრძნობებოდა, დაიწყეს ლაპარაკი, რომ კარგია არ იქნებოდა, ეხლა სოფლის პურის მაღაზიები რომ იყოს გამართულიო! ვისაც უჭირს, ის გამოიტანდა სესხათ იქიდგან ნამუშევარს და ასეთი გაჭირება აღარ დადგებოდაო.

*
* *

ჩვენში ნათქვამი, კაცს რომ ურემი წაექცევა, გზას მაშინ მოსძებნისო. სანამ შიმშილმა ყველას რუცელი არ ასტკივა, მანამდის პურის მაღაზიებისათვის არავის უფიქრნია და იმ დროს, როცა ნამუშევრის ნაკლებობა გაჩნდა. თუნდ ბევრიც ეცადნათ, იმის გამართვისათვის, ერთს ხორბალს მარცვალსაც ვედარავინ გამოიმეტებდა. იმ დროს გუბერნიის მთავრობამ თავის მხრით [illegible] სოფლებში. რომ ვინიცობაა ამიერითგან კიდევ ამისთანა გაჭირების წელიწადი დადგეს, სოფლები მომზადებულნი უნდა იყონ, რომ კარგ მოსავლის წელიწადში გადარჩენილი ნამუშევრით თავი გაიკვებონო, ესე იგი ამიერითგან უნდა გამართონ ყოველ სოფელში პურის მაღაზიებიო.

*
* *

აი, ეს მეორე წელიც გავიდა, მოსავალი ყოველგან შინ შეტანილია. მაგრამ საერთო მაღაზიების გამართვა კი არავის უფიქრნია. ამასთანავე ჩვენ რომ ზოგიერთი ალაგებიდგან ამბავი გვესმის ცუდს მოსავალზე, უეჭველათ ეს ამბავი ბოლოს დროს მაინც თავს იჩენს საერთო გაჭირებით, მაგრამ ამ ჟამათ ამის ფიქრი ვის აქვს! ყველა იმით კმაყოფილია, რომ დღეს ერთი ლუკმა ხელში უჭირავს და ხვალინდელი დღის ზრუნვას რადას დასდევს.

## მოსავლის ნაკლებობის მიზეზი

წელს ზოგი მხრიდგან მოგვივიდა ამბავი კარგი მოსავალი იყოვო, მაგრამ უფრო ბევრს ადგილებში კი მალიან უჩივიან ნამუშევრის ნაკლებობას, მაგალითად ქიზიყის სიგნაღი წაახდინა კენახებიო, ხეებისთვის არც ხილი და თითქმის არც ფოთოლი აღარ შეურჩენია. პურის [illegible] გამოიშვნიეტა. რომ მოსამკლათ აღარ გამოდგებოდა და სოფლელებმა თივათ მოთიბესო. ამ სატანჯი სეტყვის შემდეგ ხვნილმა ახლად გამოსცა ფოთოლი და ყვავილი, თითქოს კიდეც დაუზამთრობს და გაზაფხული მოსვლოდეს. იმერეთიდგან ამაზე უარესი ამბები ისმის, განსაკუთრებით მუგდილის მაზრებიდგან, სადაც წვიმას და ზენა ქარს სულ ერთიანათ წაუხდენია და ჩაუქოლავს ყოველივერი. ამსახით მვირათდ დგება ის სთანა წლები, რომ ყოველგან თანასწორათ კარგი მოსავალი იყოს. თუ მიწამ მოსცა, უეჭველათ ჩავის დაუდგრომელობა მაინც არ მისცემს. ან ქარი, ან ჭია, ან თაგვი, ან სეტყვა, ან კიდევ სხვა რამე ხიფათი აუტყდება და მოიმედე მიწის მუშას ხელცარიელს დაჰგდებს.

*
* *

სანამდის ჩვენი მეურნეობა, ესე იგი მიწის მუშაობა და ოჯახობა იმისთანა მდგომარეობაში იქნება, როგორსაც ვხედავთ, კარგი მოსავლის წლები თუ უფრო გამვირდება, თო-

რემ არ იკლებს. სანამდის ჩვენი მეოჯახე თავისი უსწავლელობით მარტო მამა-პაპის დროს ხმარებულ მიწის სამუშაო იარაღების მეტს არას შემოიღებს და რაც იცის, იმაზე უკეთესს მიწის მუშაობას არ დაიწყებს, მანამდის ცუდი მოსავლის წლები უფრო ბევრი იქნება, კარგ მოსავლისაზე.

* * *

ყველამ იცის, რომ ამ ბოლოს-და-ბოლოს ჰავა და ნიადაგი ძალიან მალე იცვლება. მიწის ნიადაგი თან-და-თან ჰხდება. რაც ათი წლის წინათ მოჰყავდა მიწას, თითქმის იმის ნახევარიც აღარ მოჰყავს. ჰავაც ისე საშინლათ შეიცვალა, რომ არც პურს, არც ღვინოს, არც სიმინდს კარგათ არ ახარებს. აქედგან სჩანს, რომ ძველი წესი მუშაობისა და ძველებური თესვა ერთი და იგივე ნამუშევრისა არ შეეფერება არც მიწის ნიადაგს და აღარც ჰავას.

* * *

მაშ უნდა გამოიცვალოს როგორც თესლი და ყოველგვარი ნაყოფიერება, აგრეთვე თვითონ მიწის მუშაობაც. იმას უფრო დიდი მზრუნველობა და მოვლა უნდა ეძლიოს. სადაც სიმინდი აღარ კარგობს, იქ ბამბა უნდა გააჩინონ, თუ ბამბა არა, კარტოფილი მაინც. სადაც პური აღარ კარგობს, ან დიკა, ან ქერი, ან სხვა ამისთანა მცენარე, რომელიც უფრო მოვა ასეთ რიგათ შეცვლილს ჰავაში და ნიადაგზე. თამბაქოს მოყვანა და იმის კეთება იმდენათ უნდა გავრცელდეს, რამდენათაც ჭირნახულისა.

* * *

ქვეყანაზე ყოველ გვარი ჰავა და მიწის ნიადაგი იპოვება. ყოველს მათგანს თავ-თავისი თესლი და ნაყოფიერება აქვს. მცოდნე კაცმა ყველა ესენი იცის. რა ნიადაგს და ჰავას რომელი მცენარეც უფრო თვისობს, იმას სთესს და იმით ირჩენს თავს.

* * *

ამას გარდა ყოველი მცოდნე მიწის მომუშავე თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს მახლობელს ბაზარს. რანაირი ნაწარმოები, ან ნამუშევარი, ან ხელსაქნარი უფრო გადის, რა საქონელს ან ხორაგს უფრო კარგი ფასი აქვს, ან რანაირს ნახელავს უფრო ყიდულობენ, და იმის-და-გვარათ უნდა შეუდგეს ან კანაფის თესვას, ან სელისას ან კარტოფილისას ან ბამბისას, ან აბრეშუმის მოყვანას, ან კიდევ მრავალნაირი საოჯახო მცენარეობის გაშენებას. ამას გარდა შენიშნულია, რომ რაც უფრო მრავლდება ქალაქები და დაბანი იმდენათ უფრო ბევრი ხილი და ბოსტნეულობა იყიდება. ამისთვის მეოჯახემ ბაღისა და ბოსტნის კეთებასაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

* * *

იყო დრო, როდესაც ყოველმა მიწის მომუშავემ ანუ მეოჯახემ მამა-პაპის გამოცდილებით ნამკილათ იცოდა, რომ იმის სამუშაო მიწებს კარგათ მოჰყავს საზდო მცენარეები, მაგალითად პური, ქერი დიკა და სხვ. ამას გარდა იმას ესწავლა ზოგიერთი მიწის სამუშაო იარაღების ხმარება, მაგალითად ჩვენებური გუთნისა, თოხისა, ბარისა, ფარცხისა და სხვ. თუ ამ იარაღებით დაიმუშავებდა ნიადაგს, დიდი ხნის გამოცდილებითაც იცოდა, რომ კარგი მოსავალი მოუვიდოდა და რაც უნდა წამხდარიყო შემთხვევით მოულოდნელ, თავის სარჩოს მაინც სრულად შემოჰკრეფდა, იმდენათ ნოყიერი [illegible] მიწები.

* * *

მაგრამ, როგორც ვიცით, ქვეყანაზედ უცვლელი, ან გაუმცვდარი არას რჩებარა; აგრეთვე არც მიწას უნდა შერჩენოდა მუდამ თავისი ნაყოფიერება. მართალია ამ ჟამათ ჩვენი სახნავ-სათესი მიწა იმდენათ გამცვდარია, რომ იმ ცოდნით, რაც ჩვენ მეოჯახეს აქვს, ძალიან კარგი ამინდები თუ დაუდგა მოსავალს, იქნება მაშინ გაევსოს ბეღლები ჭირნახულით, თორემ სხვა წლებში ყოველთვის ნაკლულათ ექნება ნამუშევარი. ამისთანა მდგომარეობაში მარტო მიწის ნაყოფიერობის იმედათ დარჩენა შეუძლებელია. მეოჯახეს არ არგია თავის წინა-პრებსავით ილაპარაკოს: «მე კი დავთესავ და მოსავალი ღმერთზე ჰკიდია». არა, ეს შეიძლებოდა ეთქვა კაცს მაშინ, როცა მიწა იმდენათ ნაყოფიერი იყო, რომ ცუდი მოსავლის წლებშიაც საკმაო სარჩო მოსდიოდა. ახლა მხოლოდ მიწის იმედათ დარჩენა თან-და-თან სიღარიბის გადიდების და გაჭირების გავრცელების მეტს არას შეგვძენს.

* * *

ამჟამათ ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა ასე უნდა აიხსნას: რადგან მიწას იმდენი ღონე არა აქვს, რაც უწინ ჰქონდა, ამისთვის მეოჯახემ სხვა-და-სხვა საოჯახო მცენარეების თესვის შემოღებით, უკეთესი მიწის სამუშაო იარაღების შემოტანით და ბაზრის აღებ-მიცემობის თვალ-ყურის დევნებით, თვითონვე უნდა გაამრავლოს თავის წლის შემოსავალი. რაკი თესლს გაიტანს, იმის შემდეგ მარტო ხელ-გულ დაკრეფილი ზეცას არ უნდა შესცქეროდეს. თავის მრავალ-გვარ შრომით და მოხელობით, რაც მიწიდგან დააკლდება, სხვა წყაროებიდგან უნდა შეივსოს.

* * *

ამასთანა მოქმედებას უნდა სწავლა და განსაკუთრებით წვრილმან ვაჭრობის, ანუ აღებ-მიცემობის დაწყება.

* * *

პირველი მოიპოვებს სოფლელ ახალ-გაზდობის შკოლებში გამოზდით და მეორე შრომაში გამხნევებით. მხნეობა და ყოველ საქმის [illegible]დევა თუ რამდენათ გააკეთებს სოფლელის შინაურს ცხოვრებას, ამის მაგალითს ცხადათ გვიჩვენებს ერთი ხონელი გლეხის ამბავი, რომელიც აღუწერია დროების კორრესპონდენტს. აი, ეს ალაგი:

* * *

«როდესაც შევედი მის, ესე იგი იმ გლეხის, ეზოში, შეცდომათ მეგონა ვინდაც შეძლებულს თავადს მივადექითო. დაგვხვდა მშვენიერი დიდი ეზო, სხვა-და-სხვა ხეხილებით და პატარა ყვავილებით სავსე ბაღჩა; ამ ეზოში გამოჭიმული იყო დიდი ხის ოდური სახლი.—როგორც ამ ეზოს და სახლს შეეფერებოდა, ისე შიგნით იყო მორთული თვითონ სახლიც. მავედით თუ არა, ცხენი ჩამოგვართვეს და მასპინძელმა მიგვიწვია ზალაში, რომელშიაც გაშლილი იყო ჩვენთვის ევროპიელათ სტოლი სხვა-და-სხვა სასმელებითა.—მოდი და ნუგიამებს საუზმე ამისთანა მდიდარს გლეხისას! მერე როგორი საუზმე? იმისთანა, რომ მშვენიერი მოხარშული ძროხის ბეჭი და სხვა-და-სხვა შემწვარი საჭმელები წინ გიდევს და ამასთან მაგარი წითელი ღვინოც. ამ გლეხს ამ მდგომარეობამდის მარ-

ტო თავის შრომით მიუწევია, რომელიც ჩალვადრობაში და სხვა წვრილ-ვაჭრობაში მდგომარეობს.

*
* *

«საზოგადოთ ხონში გლეხები, (ზოგიერთი აზნაურებიც) ამგვარ შრომაში არიან გართულნი. ის პატარა ბაზარი, რომელიც ამ ქამათ არის, სულ თითქმის ხონის გლეხებისგან არის გამართული. თითქმის სულ ყველას აქვს პატარა დუქანი, რომელშიაც ან თვითონ ვაჭრობს, ან მამა უზის და ან ნაქირავები ჰყავს ვინმე. ვაჭრობა სრულებით არ უშლის იმას, რომ სხვა წყაროებიდგანაც მოიპოვოს საზდო. მე ვამბობ მიწის მუშაობაზე: თვითონ დუქანში ზის, მოჯამაგირეებს ამუშავებს მინდორში, თუ არა და თვითონ მუშაობს. ერთი სიტყვით ხონის გლეხს ვერ ნახავ უსაქმოთ მაყურებელს. უსათუოთ რასმე ცხოვრებაში გამოსადეგს აკეთებს. რასაკვირველია, რომ ამ გვარი შრომის მოყვარენი მშიერნი არ დარჩებიან.....» ჩვენის მხრით დაუმატებთ, რომ ღმერთმა ჰქმნას ბევრი გამოჩენილიყოს ჩვენ ქვეყანაში ზოგიერთი მხნე ხონელის მუშებისთანა ჩვენს მხარეში, განსაკუთრებით ქართლში, სადაც თავის გუთნისა და მიწის მეტს სხვას არაფერს ყურადღებას არ აქცევენ.

## სამეურნეო ნაწილი

**ხორბლის გამფხეკი და გამრჩევი მანქანა.** ეს მანქანა სრულებით გაატლის ხოლმე ხორბლის მარცვალს გარეთა კანს და ამით ერთი რომ უფრო გაადვილდება დაფქვა და მეორეთ მშვენიერი თეთრი ფქვილიც გამოდის.

*
* *

ის კანი, რომელიც აძლევდა ფქვილს შავს ფერს შემოცლილი აქვს, ამასთანავე შენიშნულია, რომ მაღალი ღირსების ფქვილი უფრო მეტი გამოდის. გაფცქვნილი ხორბლისაგან შვიდი პროცენტით მომეტებული ფქვილი გამოდის, ვინამ გაუფცქვნელ ფქვილისაგან. რუსეთის წისქვილებისთვის ეს მანქანა მეტი არ შეიძლება, ისე გამოსადეგია, რადგან იქიდგან საზღვარს გარეთ ძალიან ბევრი პური გადის და თუ არ მაღალს ხარისხისას, დაბალს სნ- ვერ გაიტანებენ. ამას გარდა წამხდარს და ჭიისგან დახრულს ხორბალს ისეთნაირათ სწმენდავს, რომ იმის ფქვილი კარგ ხორბლის ფქვილზე უარესი არ გამოჰყავს.

*
* *

ამას გარდა განგაცლილი ხორბალი უფრო ადვილათ იფქვება და თვით წისქვილის ქვებს დაკვეთა არა საჭიროებათ ხოლმე. მთელი მანქანა რკინისგან არის გაკეთებული და გაფუჭების ფიქრი არ არის. თუ ისე მოაწყო საქმე კაცმა რომ ხორბალი მუდამ საკმაოთ ემლია, კაცის ზედდაყენება საჭიროც არ არის. მანქანა არის რკინის ბომალი რომელშიაც რკინის ბარაბანია გამართული, ხორბალი იყრება შიგ რკინის ბომალში, ბარაბანი ტრიალებს და ხორბალი რკინის კედლებზე ერთმანეთს ჰხვდება, ასე რომ ყოველს მარცვალს კანი სძვრება. განგამრობილი მარცვლები გამოდიან გვერდის ნახვრეტში.

ეს მანქანა პეტერბურგში ღირს ოთხმოცდა ხუთმეტ თუმნათ. ათი საათის განმავლობაში ის გასწმენდს კანისგან ექსას ფუთს ხორბალს. ვისაც ჰსურს დაიბაროს ეს მანქანა, იმან ამ ადრესით უნდა მისწეროს მოსკოვს, ან პეტერბურგს.

Въ Петербургъ на углу Малаго Морскаго и Кирпичнаго Переулка въ домѣ Брунста №-4.

Въ Москву на Мясницкой въ домѣ Министерства Финансовъ, рядомъ съ почтовою станцiею.

---

### ცხვრის ავათ-მყოფობა

ავათ-მყოფობა ყოველი ცხოველისა და მცენარის ხვედრია; რამდენათაც უფრო სრული აგებულება არის ცხოველის ტანი, იმდენათ უფრო შესაძლებელია იმის მოშლა; რადგან კაცი ყოველ ქმნილებაზე უფრო სრული აგებულებისა არის, კიდეც იმიტომ უფრო ადვილათ ჰხდება ავათ. მაგრამ მარტო ერთი აგებულების სიმრავალ-გვარე და სისრულე კი არ არის მიზეზი ადვილათ ავათ გახდომისა: ველური კაცები ღრმა სიბერემდის ტან-მთელად ცხოვრობენ.

*
* *

რადგან ბუნება ყოველთვის თავის კანონისა მებრ მოქმედებს, ამისთვის ადვილი ასახსნელია გარეული ცხოველები რატომ არა ხდებიან ავათ გადამდები ავათ-მყოფობით და შინაური ცხოველები კი უფრო ხშირათ-გადამდები ავათ-მყოფობით იხოცებიან. შეიძლება თქვას კაცმა, რომ შინაური ცხოველები, მაგალითად, ხარი, ცხენი და ვირი მომეტებული ჯაფისაგან ჰხდებიან ავათ. მაგრამ ჯოგის ცხენები, მროხები და ცხვრები, რომელთაც არავითარი ჯაფა არა აქვთ, ავათ რომ ხდებიან, ეს რა მიზეზია. ამის ასახსნელათ სხვა მიზეზს ვერას ვპოვებთ გარდა იმისა, რომ დამწყვდეულნი არიან და ამისგამო უწესოთ იკვებებიან. თუ ეს არ იყოს, იმათი აგებულება ირმისა და არჩვის აგებულებაზე უფრო სათუთი არ არის და თუ ასე არ იყოს, რატომ ისინი არ ჰხდებიან ავათ, შინაურ ცხოველებსავით.

*
* *

აქედგან, აი, რა უნდა შევისწავლოთ. კაცმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს შინაურს ცხოველს და მოექცეს იმას, როგორც იმის ბუნება მოითხოვს, რომ ამით შინაურს ცხოველებს ტუსაღობა არ დაეტყოს. თუ რომელიმე ცხოველია გამოსადეგი, ცხვარი მიუცილებლათ ყველას საჯობია იმ სარგებლობით, რასაც ის აძლევს კაცის ოჯახობას; ამის გამო ცხვრის მეპატრონე მოვალეა გააშენოს იმდენი, რამდენის მოვლა და კარგათ ჰკვება შეეძლია.

*
* *

როდესაც საძოვარი ბევრია, ბოსლები, ან ფარეხები წმინდათ აქვთ, აგრეთვე განიერნი არიან. თივა და ბზე კარგათ მომზადებულია, მაშინ საქონლის პატრონი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იმისი ჯოგი ტან-მთელად იქნება. ამას უნდა დაუმატოთ აგრეთვე კარგი წყალი. აი, ესენი არიან საუკეთესო საშუალებანი, რომლითაც შეიძლება დაიფაროს კაცმა ჯოგი გადამდებ ავათ-მყოფობისაგან. გამოცდილებით შეუტყვიათ, რომ თუ საქონელი სვამს იმ წყალს, რომლის ზემო ალაგებში, საიდამაც ეს წყალი მოდის, გადამდები ავათ-მყოფობაა, უეჭველათ ამ საქონელსაც გადაედება იქიდგან.

*
* *

გამოცდილს მეპატრონეს ძალიან უკვირს,

როცა გაზაფხულს დაითვლის თავის ცხვრის ჯოგს და თითქმის განახევრებულია, ისე დაცოტავებულა სხვა-და-სხვა ავათ-მყოფობის წყალობით, ვერც კი დააჯერებ, რომ უბრა, ეს იმისგან მოხდა, რომ შემოდგომის ცხვრები ვერ იყვნენ კარგათ ნაკვებნი და ამისთვის ზამთრის პირს ვეღარ გასტანეს, ნადები ცუდი მოსანელებელი თივა ჰქონდათ საკვებათ, და ვერ იკვებებოდენ კარგათ. ფარეხებიც ჩალური ფარდალალებიანი იყო და ვერ იფარავდა ცხვრებს წვიმისგან და თოვლ-ჭყაპისგან.

* * *

ცხვრების მაშენებელმა თუ თავის გამოუცდელობით და უცოდინარობით ვერ დაიფარა ჯოგი გადამდები ავათ-მყოფობისაგან, ან ჭირისაგან, იმას მაინც უნდა ეცადოს, რომ როგორმე გააქროს ჯოგში ან შეამციროს ეს ავათ-მყოფობა. ამ შემთხვევაში უნდა იხმაროს სასტიკი საშუალება, დახოცოს ის ცხვრები, რომელსაც ან ავათ-მყოფობა გამოსჩენია, ან რომელთაც ტანში უდგათ. ამისთანა მოქმედებით შეიძლება კაცმა მოარჩინოს მთელი ცხვრის ფარა სასტიკ ავათ-მყოფობისაგან.

* * *

ცხვრის ავათ-მყოფობა სამგვარია:
ანთებისა, შიგნეულობისა, და კანის ავათ-მყოფობა.

ანთების ავათ-მყოფობა ცხვრისა ჰგავს კაცის ანთებას. ანთება მოსდის ცხოველსა და კაცს იმისგამო, რომ რომელსამე ორგანოში სისხლი ბევრი გროვდება, მერე სიცხე ემლევა, სისხლი ჩქარა იწყებს ტრიალს და ბოლოს იმ ალაგს, სადაც განსაკუთრებით სისხლი იწყებს მოგროვებას, ის ლპება და არღვევს კაცის, ან ცხოველის სხეულს.

* * *

ტვინის ანთება.

ეს ავათ-მყოფობა გაუჩნდება ცხვარს დიდ სიცხეში, როცა მალიან ბევრი და ნოყიერი საკვები აქვს. ამ ავათ-მყოფობის ნიშნები შემდეგნი არიან: ცხვარი მოიწყენს, თავს ჩაღუნავს, შუბლი, პირი, ყურები და რქის ძირი მალიან უხურს, ხახაზე და ენაზე თეთრი ულორტი აქვს გადაკრული; თვალები დაწითლებული აქვს, ცრემლი სდის და დახუჭული აქვს. გახურებულათ ფშვინავს, მოსდის ცივება ბანცალი დააწყებინებს, შარდის გასვლას უჭირს. ცხოველი დაიწყებს უთავ-ბოლოთ ხეტებას. ხან ადგება, ხან შეხტება და დაიწყებს გაგიჟებული რბენას, ბოლოს დავარდება მიწაზე და სული გამძვრება.

* * *

სისხლის გამოშვება აქ მიუცილებელი საშუალებაა; ამას გარდა მალიან მოუხდება ერთი მისხალი გლაუბერის მარილი (глауберова соль) და ერთი მისხალი გვარჯილა რომ პატარა სტაქან წყალში გაადნო და დაალევინო დღეში სამჯერ. ამასთანავე თავზე ცივი წყლით დასველებულს ჩვარის დაკვრაც კარგია.

* * *

## სხვა და სხვა ამბავი

### როგორ უნდა ჰკვებო ფუტკრები, როცა სკაში თაფლი გამოელევათ

ზამთრით თუ ფუტკრებს სკაში გამოელიათ თაფლი, მიუცილებლათ უნდა უშოვნოთ, რომ არ დაიხოცონ შიმშილით. მაგრამ ცოდნა უნდა რომ ამით სარგებლობის მაგიერათ, ზარალი მომეტებული არ მიეცეს. შეიძლება გოლში ან ფიცრში ჩაუსხათ თაფლი, მაგრამ ერთი, რომ ცივ ზამთარში გოლში თაფლი არ შეინახება და მეორე ბევრსაც ვერ ჩაასხამს კაცი. შეიძლება სკაში უბრალო ქოთნით ჩადგა თაფლი, მაგრამ ამით მალიან ბევრი ფუტკარი დაიხოცება, რადგან ფუტკრები წინ-წასწრებით ეტანებიან და ამ დროს ერთმანეთს ერევებიან, შიგ თაფლში ვარდებიან, იხრჩობიან და იმდენს ვერ ირგებენ, რამდენსაც თვითონ ახდენენ.

* * *

ამისთვის რგვალსა და მაღალს მინის შუშას აიღებენ და თავამდის თაფლით გაავსებენ: მერე ტილ დახურვენ თაფლის ფირფიტასა და გარშემო იმდენს შემოსჭრიან, რომ შიგ შუშაში ადვილათ ჩადიოდეს. მერე წვრილათ დახვრეტენ, დაათავრებენ თაფლით გავსებულს შუშას და ცოტათ ხელსაც დააჭერენ ზედ, რომ გახვრეტილებში თაფლი ამოვიდეს და ასე დადგმენ სკაში. ფუტკრები დაასხდებიან თაფლის სანთლის ფირფიტაზე და დაუწყებენ ჭამას, როცა თაფლს მოაკლდება და თან-და თან მირს დაიწყებს სწევას, ფირფიტაც თან წაჰყვება და თაფლი მუდამ ამოდის იმის ნახვრეტებში.

— ჭარხლის ოტკის ქარხანა ანგლიაში.

დიდი ხანი არ არის, რაც ლონდონში გააწყვეს ჭარხლის ქარხანა ოტკის სახდელათ. ეს ოტკის სახდელი მალიან დიდი ქარხანა არის; უჭირავს ორი ათას ნახევარი დესეტინა, რომელიც განსაკუთრებით ჭარხლის მოსაყვანათ არის მარტო გაწყობილი. ჭარხლის ჩენჩი, რომელიც რჩება, ჰყოფნის საკვებათ ერთ წელიწადს ორი ათას თავ ცხვარს და ორი ათას ხუთას თავ მროხას. ყველა საქაჩავები, ქვაბები და სხვა მრავალი მანქანები სულ საფრანგეთიდგან არის მოტანილი. ქარხანა თვითონ ტემზის მდინარეზედ გამართული. ჭარხლის სათესი ყანები მშვენიერათ ირწყვის. სახვნელათ ორი ორთქლის გუთანი აქვთ გამართული; ყანები მშვენიერათ დამუშაკებული და გასუქებულია. და ყოველ წლობით ერთს დესეტინას მოჰყავს სამი ათასი ფუთი ჭარხალი.

* * *

— საფრანგეთში ისეთ ნაირათ ინახვენ ბალახს მთელი ზამთრის განმავლობაში, რომ სულ ახალი ჰგონია კაცს. აი, როგორ ინახვენ: ამოსთხრიან ღრმა ორმოს სიგმით და მირს გამოუგებენ ბზით და მალიან დასტკეპნიან და ისე დააგდებენ. მერე გაავსებენ ახალი მწვანე ბალახით თავამდის და ცოტას მეტსაც ისე, რომ ბალახი ორმოში არ ეტეოდეს და ზევით დაყრიან ბზეს, მერე ზედ დააყრიან მიწას რომელიც ორმოდგან [illegible] ამოღებული, მერე მალიან დასტკეპნიან და ისე გაუშვებენ.

* * *

მხოლოდ რაც მირს არის და თავზე ის[illegible] ჭხდება მარტო, თორემ დანარჩენი ბალახი მშვენიერათ შეინახება; ცოტა სიმჟავის გემო აქვს და მალიან უყვარს პირუტყვს; ამისთანა საკვები; მროხას მაინც მალიან უხდება. რა ბალახიც გინდა, ყველა შეინახება ამნაირათ. განსაკუთრებით კარგათ ინახება ჭარხლის ფოთოლი და მწვანილი.

* * *

— ერთი ფრანცუზული გაზეთი ურჩევს, ერთ გვარს მოსათიბავს ბალახს, რომელიც მალიან კარგია საქონლის საკვებათ. ეს მცენარე სამხრეთის ამერიკაში მოდის და ყოველს ჰავაში კარგათ ვარგობს. დიდი შამოსავალი აქვს წელიწადში რამდენჯერმე მოითიბება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Ноября, 1870 г. დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.